სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	თბ „ხვამლი“ - სტეფანწმიდას „ყაზბეგი“		
გუნდი	თბ „ხვამლი“	შეჯიბრი	დიდი 10
მატჩის თარიღი	21/10/2023	მატჩის ადგილი	თბილისი, ხვამლი არენა
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მოთამაშე	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	გიორგი ვარდოსანიძე		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	IV მსაჯი, გიორგი ირემაშვილი	დარღვევა	☒ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია : 8.6 საჯაროდ არ გააკრიტიკოს / ხელი არ შეუწყოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო კრიტიკას;	☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :	

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	24/10/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაიძე, ვახტანგ სამხარაძე		
დამრღვევის დასწრება	☒ კი ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი	თბ „ხვამლი“-ს მენეჯერი - ნუგზარ მალაღურაძე.	აღნიშნეთ ვინ	

განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის IV მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგი

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის IV მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგი;

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

თბ „ხვამლი“-ს მოთამაშემ, გიორგი ვარდოსანიძემ აღიარა მატჩის ოფიციალური პირების გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირების ფაქტი. მისი განცხადებით თამაშის დასრულების შემდეგ ის მივიდა გიორგი ირემაშვილთან(IV მსაჯი) განმარტებების მოთხოვნით რა დროსაც ხმამაღალი ტონით, აგრესიულად გააპროტესტა მისი გადაწყვეტილებები. გიორგი ვარდოსანიძემ ბოდიში მოიხადა სადისციპლინო კომისიის წინაშე მომხდარი ინციდენტის გამო და დაეთანხმა სადისციპლინო კომისიის შეთავაზებას ბოდიში მოეხადა გიორგი ირემაშვილისთვის (მატჩის IV მსაჯი).

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 21/10/203 გაიმართა დიდი 10-ს VI ტურის მატჩი თბ „ხვამლი“-სა და სტეფანწმინდას „ყაზბეგს“ შორის.
2. მატჩის IV მსაჯის, გიორგი ირემაშვილის საითინგის მიხედვით (ციტირება) – „მთელი თამაშის განმავლობაში ხვამლის მოთამაშე, (ამ სიტუაციაში, როგორც გულშემატკივარი) აპელირებდა მსაჯის გადაწყვეტილებებზე, რის გამოც, მეც და მატჩის მეთვალყურემაც რამდენჯერმე მივეცით გაფრთხილება, რომ დაამშვიდებულიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში მოგვიწევდა მისი მოედნის არელიდან გაშვება. მიუხედავად ამ ყველაფრისა ის აგრძელებდა სხვადასხვა სახით აპე;ირებას და მეორე თიმის 51-ე წუთზე მომიწია ცენტრალურ მსაჯთან მისვლა, დროის გაჩერების მოთხოვნა და გიორგი ვარდოსანიძეს დავატოვებინეთ მოედანი. ამ ყველაფრის შემდეგ თამაში მეტად დაიძაბა მეორე თაიმის დასასრულისკენ, თუმცა სხვა ხელისშემშლელი ფაქტორები მოედნის გარე სივრცეში არ ყოფილა. მატჩის დასრულებიდან დიდი დროის გასვლის შემდეგ გიორგი ვარდოსანიძე მოვიდა ჩემთან როდესაც მარტო ვიდექი და სცადა აგრესიული ტონით საქმის გარჩევა და ჩემგან ითხოვდა ახსნა განმარტებებს თუ რატომ დავატოვებინეთ მოედანი და საერთოდ რას ნიშნავდა მსაჯის გადაწყვეტილებების აპელირება. მაღალი აგრესიული ტონის და ხელების გაშლით საუბრის გამო მე პოლემიკაში არ შევედი მოთმაშესთნ და ის თავისმა გუნდელებმა დროულად გააცალეს სიტუაციას.“
3. სადისციპლინო კომისიისთვის ცნობილი გახდა, რომ გიორგი ვარდოსანიძე 25/10/2023 პირადად შეხვდა მატჩის IV მსაჯს, გიორგი ირემაშვილს და ბოდიში მოუხადა მომხდარი ინციდენტის გამო.

მსჯელობა

1. სადისციპლინო კომისიამ განიხილა და იმსჯელა სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების შესახებ და დაგენილად ცნო თბ „ხვამლი“-ს მოთამაშის მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.6 პუნქტის დარღვევა.
2. სადისციპლინო კომისია, დამრღვევი მოთამაშის საქციელის სიმძიმის შეაფასების შემდეგ მიზაშეწონილად მიიჩნევს მოთამაშის კლუბის თბ „ხვამლი“-ს ფინასურ სანქცირებას.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი)	4(ოთხი) კვირა/თამაში **პირობითი** დისკვალიფიკაცია.	☐ წითელი ბარათი საკმარისია
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	25/10/2023	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	**პირობითი** დისკვალიფიკაცია 2023-2024 სათამაშო სეზონის დასრულებამდე.	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა.	კლუბ თბ „ხვამლს“ დაეკისროს ფულადი ჯარიმა 400(ოთხასი) ლარის ოდენობით. ფულადი ჯარიმის გადახდის ვადა განისაზღვროს 2023 წლის 25 ნოემბრამდე. **შენიშვნა: სრკ-ს სადისციპლინო რეგგულაციის 13.8 პუნქტის მიხედვით - სადისციპლინო კომისიის მიერ დაკისრებული ფულადი ჯარიმის დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, ვალდებულ მხარეს ეძლევა გაფრთხილება და მიეცემა დამატებითი 10 (ათი) კალენდარული დღე ვალდებულების შესასრულებლად. აღნიშნული ვადის უშედეგოდ გასვლის შემთხვევაში, ჯარიმის გადაუხდელობის ყოველ კვირაზე გუნდს დააკლდება 1 (ერთი) საცხრილო ქულა. ჯარიმის გადახდის ვალდებულება ყველა შემთხვევაში რჩება ძალაში.**	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	**პირობითი დისკვალიფიკაციის პერიოდში მოთამაშის მხრიდან ანალოგიური დარღვევის შემთხვევაში, განმეორებითი დარღვევისთვის დაკისრებულ სანქციას ავტომატურად დაემატება პირობითი დისკვალიფიკაციით გათვალისწინებული თამაშები.**	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	25/10/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში.**